საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/122 " 11 " აგვისტო 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დ. გვრიტიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2020 წლის 4 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2020 წლის 9 აგვისტოს მიღებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულს საქმეთა პალატის მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადება.

დიმიტრი გვრიტიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. მას აქვს ასევე, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც, კერძოდ იგი 8 წელი იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 5 წელი ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დიმიტრი გვრიტიშვილი დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეტა პალატის თავმჯდომარედ 2020 წლის 12 აგვისტოდან, 5 წლის ვადით.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი